

საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა

პოზიცია

საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიისა (CSAP) და კლიმატის ცვლილების 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის (CAP) საჯაროდ გამოქვეყნებულ ვერსიასთან დაკავშირებით

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს ორგანიზებითა და კლიმატის ცვლილების საზოგადოებრივი ქსელის წევრების მონაწილეობით 2020 წლის 23 დეკემბერს გამართულმა კონფერენციამ განიხილა საქართველოს „კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია (CSAP) და კლიმატის ცვლილების 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა (CAP) და მიიჩნია, რომ:

კლიმატის ცვლილების გამოწვევებზე რეაგირების კუთხით საქართველომ მიაღწია თვისობრივად ახალ სიმაღლეებს;

კლიმატის ცვლილების გამოწვევების მიმართ მიდგომებმა მიიღო სისტემური ხასიათი, ქმედებები გახდა მიზანდასახული და თანმიმდევრული;

ეროვნულად განსაზღვრული წვლილის (NDC), საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიისა (CSAP) და კლიმატის ცვლილების 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის (CAP) შემუშავების პროცესი იყო გახსნილი, საზოგადოებისათვის საინტერესო სხვა პროცესებთან შედარებით;

დადებითად აფასებს იმ ფაქტს, რომ დოკუმენტების განსახილველ ვარიანტებში უკვე აისახა საზოგადოებრივი სექტორის გარკვეული შენიშვნები და წინადადებები;

მიუხედავად ამისა, პარიზის შეთანხმებით აღებული ვალდებულებების წარმატებით შესასრულებლად აღნიშნული დოკუმენტები მოითხოვს საფუძვლიან გადახედვას შემდეგი შენიშვნებისა და წინადადებების მიხედვით.

ზოგადი ხასიათის შენიშვნები:

მიგვაჩნია, რომ:

დოკუმენტების უკეთ აღქმის მიზნით მსგავსი პარამეტრები და სიდიდეები გამოსახული უნდა იქნეს ერთსა და იმევე ერთეულებში;

დოკუმენტები (გარდა სამოქმედო გეგმისა) გადატვირთულია ნაკლებმნიშვნელოვანი ტექსტებით. შეუსაბამოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი არსებული სიტუაციის აღწერას და საჭიროზე ნაკლებად ინფორმაციულია სამომავლო სტრატეგია, მიზნები და ამოცანები;

დოკუმენტებში სუსტადაა ასახული პირობიანი ვალდებულებები. არსებული ჩანაწერები კი ბადებს ეჭვს, რომ საქართველო მზად არ არის საერთაშორისო დახმარებების მისაღებად (შესაძლოა ეს არის რეალობა?!);

დოკუმენტები ორიენტირებული არ არის (სატყეო სექტორის გარდა) საზოგადოების მხარდაჭერის გაზრდასა და გაღრმავებაზე, მათი კონსტიტუციური უფლების დაცვაზე. ამ თვალსაზრისით, საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიასა (CSAP) და კლიმატის ცვლილების 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმაში (CAP) სათანადოდ ასახული არ არის ეროვნულად განსაზღვრული წვლილის (NDC) დოკუმენტის მოთხოვნები;

დოკუმენტები ორიენტირებული არ არის ეკონომიკის განვითარების პარალელურად ემისიების შემცირების შესაძლებლობების გაზრდის ისეთ აპრობირებულ საშუალებაზე, როგორცაა ინოვაციების გენერირებისა და დანერგვის ხელშეწყობა;

დოკუმენტებში სათანადო ყურადღება არ ეთმობა ემისიების შემცირებას მუნიციპალიტეტების შემდგომი გააქტიურების გზით;

კლიმატის ცვლილების საკითხებში თვითმმართველობების ფრაგმენტული ჩართულობა სისტემური ხასიათის პრობლემაა და ქვეყნის დეცენტრალიზაცია ამ მიმართულებითაც აუცილებელია წარმატების მისაღწევად;

მმართველობის ადგილობრივი და რეგიონული ორგანოებისათვის უფლებამოსილების გაზრდა კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის, ასევე ენერგეტიკული სიღარიბის დაძლევის საკითხებით, მათ საშუალებას მისცემს შექმნან და გააძლიერონ საკუთარი ინსტიტუციური და ადამიანური რესურსები. ეს უკანასკნელი კი გაზრდის დონორული პროექტების ძალისხმევით შექმნილი ინსტიტუციონალური სრულყოფისა და გამოცდილების ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობებს;

2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის 24 ამოცანიდან 20 არ ითვალისწინებს კონკრეტულ მიზანს 2023 წლისათვის, რაც ხელს შეუშლის მონიტორინგის განხორციელებას და შედეგების შეფასებას. საჭიროა მოხდეს 2023 წლის ამოცანების დაკონკრეტება;

დოკუმენტებში ასახული არ არის COVID-19 -ის პანდემიის შედეგად შექმნილი რეალობა და პოსტპანდემიურ პერიოდში ეკონომიკის განვითარების პროგნოზები, რაც მნიშვნელოვან ცვლილებებს შეიტანდა 2030 წლამდე სათბური აირების გაფრქვევის შეფასებებში;

დოკუმენტებში სათანადოდ შეფასებული და ასახული არ არის ბიომრავალფეროვნების, როგორც კლიმატის ცვლილების შერბილების უმნიშვნელოვანესი ფაქტორის როლი;

ეროვნულად განსაზღვრული წვლილის (NDC) დოკუმენტში უფრო ნათლად უნდა აისახოს სამომავლო საადაპტაციო გეგმები, განისაზღვროს სტრატეგია და კონკრეტული მიზნები;

2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის ინდიკატორების უმეტესი ნაწილი არ შეესაბამება ამოცანის შინაარსს და არაა დათვლადი. წარმოდგენილი ინდიკატორების მიხედვით შეუძლებელია შესაბამისი ამოცანის შესასრულებლად გაწეული სამუშაოებისა და მიღწეული შედეგების შეფასება;

ვითვალისწინებთ, რა დოკუმენტების ავტორთა მიერ კონფერენციაზე გაკეთებულ განცხადებას, რომ მიმდინარეობს სამუშაოები ინდიკატორების დახვეწისა და სრულყოფის მიზნით, ვიტოვებთ იმედს, რომ თითოეული ამოცანისათვის შეირჩევა ამოცანის შინაარსის შესაბამისი და დათვლადი ინდიკატორი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება მიღწეული შედეგების ცალსახა შეფასება.

კლიმატის ცვლილების შერბილების მიზნების „ამბიციურობის“ შეფასება

პარიზის შეთანხმების მე-4-ე მუხლის, მე-3-ე პუნქტი გულისხმობს, რომ მხარეებმა ვალდებულებები აიღონ „უმაღლესი შესაძლებელი ამბიციის“ შესაბამისად.

მიგვაჩნია, რომ ქართულ დოკუმენტებში ასახული მიდგომები შედგენილია „მოკრძალებული ამბიციით“, რაც არაა საკმარისი და სამართლიანი.

ჩვენ კატეგორიულად ვემიჯნებით მოსაზრებას, რომ გლობალური დათბობის გამომწვევ ფაქტორებს შორის, საქართველოს დაბალი წილის გამო, არ ღირს ძალისხმევის დახარჯვა.

მიგვაჩნია, რომ უპირობო ვალდებულებით საბაზისო დონესთან შედარებით ემისიების შეზღუდვის 35%-იანი ზღვარი უნდა გაიზარდოს მინიმუმ 40%-მდე;

ვფიქრობთ, რომ ბევრი ქვეყანა, მ.შ. საქართველოც, მთელი სერიოზულობით არ ეკიდება კლიმატის ცვლილების გამოწვევებს.

ამის უტყუარი დასტურია COVID-19-ის პანდემიის გამოწვევებზე მსოფლიოს რეაქცია.

ჩვენი სიცოცხლის გადასარჩენად შესაძლებელი გავხდეთ სოლიდური ფინანსური რესურსების მობილიზება, რეკორდულად მცირე ვადებში შეიქმნა ვაქცინა, არ მოვერიდეთ მკაცრი შეზღუდვებისა და აკრძალვების დაწესებას, დაჰაუზდა ეკონომიკა. მაგრამ ასეთივე მონდომებით არ ვზრუნავთ მომავალ თაობაზე.

გამოვთქვამთ უკმაყოფილებას და აღშფოთებას მსგავსი მიდგომის გამო - ის, რაც გვეხება ჩვენ (პანდემია), ამჟამინდელ თაობას - გვაწუხებს გაცილებით მეტად, ვიდრე ის, რაც შეეხებათ მომავალში ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს.

რეალობა კი გვაფიქრებინებს, გლობალური დათბობის შედეგად მოსალოდნელი ნეგატიური შედეგები იქნება გაცილებით მკაცრი და მეტი საფრთხის შემცველი, ვიდრე ნებისმიერი პანდემია.

უფრო მეტიც, თვით გლობალური დათბობა შესაძლოა გახდეს არაერთი პანდემიის წყარო და გამომწვევი მიზეზი.

შენიშვნები და წინადადებები სექტორების მიხედვით

ტრანსპორტის სექტორი

მიგვაჩნია, რომ საქართველოში სათანადო სახელმწიფო რეგულირებას არ ექვემდებარება სატრანსპორტო სფერო, რომელიც ერთ-ერთი უმსხვილესი კონტრიბუტორია, როგორც ეკონომიკაში, ასევე სათბური აირების ემისიების ჯამურ მაჩვენებელში.

ქვეყანას არ გააჩნია სატრანსპორტო დარგის განვითარების სტრატეგია, არ არსებობს ამ სფეროზე პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურა, შესაბამისი მარეგულირებელი ერთიანი ნორმატიული აქტი და სხვა.

ზედმეტად ოპტიმისტურად გამოიყურება პროგნოზი, რომ „2015-დან 2030 წლამდე, სამგზავრო აქტივობა გაიზარდება 60%-ით, ხოლო სატვირთო აქტივობა - 240%-ით“.

ამ პირობებში, საბაზისო დონესთან შედარებით, ტრანსპორტის სექტორში 2030 წლისთვის სათბურის აირების ემისიები შემცირდება 15%-ით, არ მიგვაჩნია შესაძლებლობების ზღვრად და დასახულ მიზანს ვერ განვიხილავთ „მაქსიმალურად შესაძლო ამბიციად“.

საინტერესოა, მხოლოდ ეპიზოდური ღონისძიებების ხარჯზე თუ არის შესაძლებელი ემისიების ამ დონემდე შემცირება, დარგის მართვის გაუმჯობესების პირობებში რატომაა შეუძლებელი კიდევ უფრო მეტად ამბიციური შედეგების მიღწევა?

ენერჯის გენერაციისა და გადაცემის სექტორი

სტრატეგიის დოკუმენტში არის მინიშნება იმაზე, რომ 2030 წლისთვის, ქვეყნის მიერ ელექტროენერჯის წლიური მოხმარება მნიშვნელოვნად გადააჭარბებს 20 მლრდ კვტს-ს, რაც დაახლოებით 60%-ით აღემატება 2020 წლის დონეს.

რეალისტურად ვერ აღვიქვამთ სამოქმედო გეგმის (CAP) მოლოდინს, რომ 2023 წლამდე (თუნდაც 2030 წლამდე) ექსპლოატაციაში შევა 1333,56 მეგავატი ჯამური სიმძლავრის (ქარის 560 მგვტ, მზის 92 მგვტ და ჰიდრო 681,56 მგვტ) ელექტროსადგურები.

როგორც ჩანს, ეს მოლოდინი გახდა 2030 წლისათვის ენერჯის გენერაციისა და გადაცემის სექტორიდან მოსალოდნელი გაფრქვევის 5687 კტ-ად (CAP-მიზანი 1) შეფასების საფუძველი (2015 წლის დონესთან შედარებით 1,56-ჯერ მეტი).

იმის გამო, რომ სტრატეგიის დოკუმენტი არ განიხილავს წიაღისეულ საწვავზე გენერაციის ახალი ობიექტების მშენებლობას, ასეთი პროგნოზი წარმოშობს უამრავ კითხვას, მათ შორის:

- რამდენად რეალურია წლიურად 20 მლრდ კვტს-ზე მეტი ელექტროენერჯის გენერირების მოლოდინი?
- განახლებადი ენერჯიების წილის ზრდის, არსებული თბოსადგურების მარგი ქმედების კოეფიციენტის ზრდის და მთელი რიგი ენერგოეფექტური ღონისძიებების მიუხედავად, რატომ უნდა გაიზარდოს ენერჯის სექტორიდან ემისიები ამ მასშტაბით?
- და სხვა.

განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის ინტერესმა - ბიოგაზზე მომუშავე ელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით და ამ მიზნით ამარანტის გამოყენებამ.

ჩვენ, მხარს ვუჭერთ ბიოგაზის წარმოების გაფართოებას და ამ მიმართულებით სახელმწიფოს გააქტიურებას, თუმცა კატეგორიულად მიუღებლად მიგვაჩნია ამ მიზნით ენერგეტიკული პლანტაციების მშენებლობა.

მიგვაჩნია, რომ არ არის მართებული, როცა დოკუმენტებში საერთოდ არ არის განხილული საქართველოს გეოთერმული პოტენციალი.

ვთვლით, რომ დოკუმენტებში სათანოდ უნდა აისახოს საქართველოს გეოთერმული პოტენციალი და მისი ეფექტურად გამოყენების გზით კლიმატის ცვლილების შერბილების შესაძლებლობები. ამ თვალსაზრისით მიზანშეწონილია:

- არსებული თერმული საბადოების მდგომარეობის გადაფასება და სრულად ათვისების ხელშეწყობა;
- გეოთერმული საბადოების ეფექტურად ექსპლოატაციის მიზნით თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა;

- გეოთერმული პოტენციალის ათვისებით ბიზნესის დაინტერესება, სათანადო ფინანსური მექანიზმებისა და გარანტიების შექმნით.

საყურადღებოა ამავე სექტორთან მიმართებაში სამოქმედო გეგმის 1.3 ამოცანა.

ჩვენთვის გაუგებარია, თუ როგორ შეიძლება ეროვნული ენერგეტიკული გადაცემის სისტემების გაძლიერების ინდიკატორი იყოს „საქართველოს ენერგოსისტემის დადგმულ სიმძლავრეში განახლებადი ენერჯის (ქარის და მზის სადგურები) წილი“.

ასეთი არსებითი და სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი უზუსტობებიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ამ სექტორის მიზნები და ამოცანები საჭიროებს გადახედვას, დახვეწას და რეალობასთან დაახლოებას.

შენობების სექტორი

ვთვლით, რომ დოკუმენტები სიღრმისეულად არ განიხილავს ამ სექტორში არსებულ სისტემურ გამოწვევებს, რაც საეჭვოს ხდის დაგეგმილი აქტივობების ეფექტურობას და მიღწეული შედეგების სტაბილურობას.

სისტემური პრობლემაა შენობების ექსპლუატაციაზე პასუხისმგებელი პირების განუსაზღვრელობა. არც საჯარო და არც კერძო სექტორში არ არის დანერგილი შენობის მოვლა-პატრონობაზე იმ პასუხისმგებელი პროფესიონალი პირების განწესების პრაქტიკა, რომლებმაც უნდა იზრუნონ ენერგოეფექტურობაზე, ენერჯის დაზოგვაზე, სხვა შესაბამის საკითხებზე და ამავე დროს, პასუხი აგონ სათანადო შედეგებზე;

მიგვაჩნია, რომ ეს სისტემური ხარვეზები შეუძლებელს გახდის ხარისხიანი მონიტორინგს და ანგარიშგების სისტემის გამართულ ფუნქციონირებას;

ძნელი დასადგენია სექტორში დაგეგმილი ზოგიერთი მიზნისა და აქტივობის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. მაგალითად:

შენობების ენერგოეფექტურობის ამაღლების, სერტიფიცირების, შენობების ენერგოეფექტური ნათურებით აღჭურვისა და სხვა არაერთი დაგეგმილი აქტივობის მიუხედავად, ენერგეტიკული სექტორის შეფასებებში ფიგურირებს პროგნოზი, რომ „2030 წლისთვის, შენობების სექტორში ენერჯიაზე მოთხოვნისგან წარმოქმნილი ემისიები, შესაძლოა, 2015 წლის მაჩვენებელზე ორჯერ უფრო მაღალი იყოს“.

ამ მოლოდინს კიდევ უფრო აღრმავებს კლიმატის სამოქმედო გეგმა (მიზანი 3) და ვარაუდობს, რომ 2030 წლისათვის შენობების სექტორიდან ემისიების რაოდენობა 2015 წელთან შედარებით 2,38-ჯერ გაიზარდება.

ძნელი წარმოსადგენია, რომ გენერირებულ ენერჯიაში განახლებადი ენერჯიების წილის ზრდის, ენერგომატარებლებზე ფასების ზრდის, ენერგოეფექტურობის დონის ამაღლების და სხვა მსგავსი ღონისძიებების ეფექტურად განხორციელების შემდეგ შენობებში ენერჯიაზე მოთხოვნისგან წარმოქმნილი ემისიები 2-ჯერ და მეტად გაიზარდოს.

ემისიებზე ამ მასშტაბის გავლენას ვერ მოახდენს ისეთი ფაქტორებიც კი, როგორცაა მოსახლეობის რაოდენობა, შემოდგომა-ზამთრის პერიოდში გაზრდილი გასათბობი ფართობი და სხვა.

ვთვლით, რომ საპროგნოზო მაჩვენებლები ხელოვნურადაა გაზრდილი და ამის მიზანია ემისიების შემცირებისათვის გაწეული სამუშაოების ეფექტურობის ასევე ხელოვნურად ამაღლება, რაც არასამართლიანია;

ურთიერთშესაბამისობაშია მოსაყვანი შემდეგი აქტივობები: 3.3.1 და 3.3.2.;

ერთი მიზნად ისახავს 2022 წლამდე საცხოვრებელ და კომერციულ შენობებში, აგრეთვე სკოლებისა და საბავშვო ბაღების გარდა ყველა საჯარო შენობაში „ვარვარა“ და ჰალოგენის ნათურების 100%-ით ჩანაცვლებას ენერგოეფექტური ნათურებით.

მეორეში კი 2030 წლის მიზნად დასახულია „საჯარო დანიშნულების შენობების 70%-იანი წილის მიღწევა, რომლებშიც გამოყენებული იქნება ენერგოეფექტური ნათურები“.

ვფიქრობთ, დაკონკრეტებას მოითხოვს ამოცანა 3.1 და ამოცანა 3.4.-ის ფარგლებში მისაღწევი დონეების ციფრობრივი გამოხატულება - 100%.

100%-იანი მიზანი აშკარად შთაბეჭდავია, თუმცა პროცენტული მაჩვენებელი ვერ ასახავს რეალურ მდგომარეობას, რადგანაც ნულოვან სასტარტო პირობებში 100%-იანი ზრდა იქნება 10-ც. 100-იც და 1000 შენობის სერტიფიცირება, აგრეთვე მზის ენერჯის ხარჯზე ცხელი წყლით მომაგარებაც.

ვფიქრობთ, წარმოდგენილი შენიშვნები და წინადადებები საკმარისი მიზეზია იმისთვის, რომ გადახედილი იქნეს ამ სექტორიდან ემისიების გაფრქვევის შემცირების შესაძლებლობები და მაქსიმალურად იქნას გამოყენებული არსებული პოტენციალი.

მრეწველობის სექტორი

წარმოდგენილ დოკუმენტებში მრეწველობის სექტორში სრულფასოვნად არ არის შესწავლილი ემისიების შემცირების შესაძლებლობები.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ დოკუმენტებში ასახულია ემისიების შემცირების მიზნით უკვე განხორციელებული, ან უკვე დაწყებული აქტივობები და „ხელუხლებელი რჩება“ სოლიდური რეზერვები (ფოლადის, თუჯის, ფერადი ლითონების და სხვა სამრეწველო პროდუქტების წარმოების სახით), რომელთა ამოქმედებაც ხელს შეუწყობდა კლიმატის ცვლილების შერბილებას.

მიგვაჩნია, რომ დაუყოვნებლივ უნდა გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები, რათა 2023 წლის შემდგომი პერიოდის სამოქმედო გეგმებში ნათლად აისახოს მრეწველობის სფეროდან ემისიების შემცირების ყველა შესაძლებლობა და სათანადო ცვლილებები შევიდეს 2030 წლისათვის მისაღწევი მიზნებში.

სოფლის მეურნეობის სექტორი

2021-2023 წლების სამოქმედო გეგმით სოფლის მეურნეობის დარგში ემისიების შესამცირებლად გამიზნული აქტივობები არ შეესაბამება ამ დარგის განვითარების ოპტიმალურ სცენარს და არარეალურია (მათი განხორციელების შემთხვევაშიც კი) დაგეგმილი რაოდენობით ემისიების შემცირების მოლოდინი;

მიგვაჩნია, რომ ემისიების შემცირება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ დარგის განვითარება დაეფუძნება აგროეკოლოგიურ პრინციპებსა და ეკოსისტემურ მიდგომას.

დარგის თავისებურებიდან გამომდინარე, ვთვლით, რომ განსახილველ დოკუმენტებში წარმოდგენილი მიდგომებისგან განსხვავებით, ამ სექტორში დასახული ყველა მიზანი, ამოცანა და აქტივობა უნდა იყოს ერთი მთლიანი კონცეფციის ნაწილი, რომელიც მიზნად დაისახავს სასურსათო უსაფრთხოებას, აგრარული ბიომრავალფეროვნების კონსერვაციას, კლიმატის ცვლილების შერბილებას, ტრადიციული პროდუქტების წარმოებას, საოჯახო მეურნეობების განვითარებას და ორიენტირებული იქნება გრძელვადიანი კომპლექსური შედეგების მიღწევაზე;

ვითვალისწინებთ, რა ქვეყნის რეგიონების მიხედვით სასოფლო-სამეურნეო დარგის გამოწვევებს შორის არსებით განსხვავებას, მიგვაჩნია, რომ სტრატეგიის დოკუმენტში არსებული მიდგომარეობა უნდა შეფასდეს რეგიონულ ჭრილში და მიზნები, ამოცანები და აქტივობები უნდა დაიგეგმოს შესაბამისი პრიორიტეტების მიხედვით.

ვფიქრობთ, რომ უნიფიცირებული მიდგომა თანაბარ და სასურველ შედეგს ვერ მოიტანს ყველა რეგიონის მიხედვით;

მიზანშეწონილად მიგვაჩნია მიზანი 5 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სოფლის მეურნეობის დაბალნახშირბადიანი განვითარების ხელშეწყობა კლიმატგონივრული და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გამოყენების, ბიოწარმოების ხელშეწყობისა და ეკოსისტემურ პრინციპებზე დაფუძნებული აგროეკოლოგიური განვითარების წახალისების გზით“

ვფიქრობთ, ამ მოთხოვნებს ვერ ითვალისწინებს ამოცანა 5.2., აქტივობები 5.1.1, 5.2.1. 5.2.3. და სხვა.

ვთვლით, რომ 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები არ წარმოადგენს ერთიანი სტრატეგიის ნაწილებს და სუსტია მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს ამ აქტივობების შედეგების მდგრადობას;

მიზანშეწონილად მიგვაჩნია აქტივობებში გათვალისწინებული იქნეს:

- ნიადაგისა და საძოვრების მდგრადი მართვის წამახალისებელი პროგრამების განხორციელება;
- ბიოწარმოების ხელშეწყობა;
- ნიადაგის კონსერვაციისა და საძოვრების მართვის კანონმდებლობის გაუმჯობესება და დანერგვა;
- მეცხოველეობის ინდუსტრიული მეურნეობების მიერ გამოყენებული შინაური ცხოველების კვების პრაქტიკების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტის შემუშავება;
- და სხვა.

ვფიქრობთ, რომ პარიზის შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესასრულებლად არასაკმარისია სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული კვლევები თემატური და რაოდენობრივი კუთხით.

დაგეგმილი კვლევების საფუძველზე შეუძლებელი იქნება მომდევნო პერიოდების სამოქმედო გეგმებში ისეთი მიზნებისა და აქტივობების დასახვა, რომლებიც შექმნიდა სოფლის

მეურნეობის დარგის განვითარების მყარ საფუძველს და ამ დარგიდან ემისიების შემცირების გარანტიებს.

ნარჩენების სექტორი

ამ სექტორის მიზნები და ამოცანები სრულ თანხვედრაშია ნარჩენების მართვის 2016 - 2030 წლების ეროვნული სტრატეგიის შესაბამის მაჩვენებლებთან და სხვა სექტორებისაგან განსხვავებით უფრო ნათელი და კონკრეტულია, თუმცა 2020 წლისათვის სასტარტო პირობები წარმოჩენილია სასურველი სახით, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება რეალობისაგან.

ნარჩენების მართვის 2016 - 2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმით დასახული არაერთი ამოცანა შეუსრულებელია ან ნაწილობრივია შესრულებული. მ.შ. ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებებით, როგორცაა:

- ახალი ნაგავსაყრელების მშენებლობა;
- ნაგავსაყრელების სათანადო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა;
- ნარჩენების შეგროვების სამიზნე მაჩვენებლები;
- საკანალიზაციო სისტემებთან დაკავშირების მასშტაბები;
- სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა-კონსერვაცია;
- აღრიცხვიანობის მოწესრიგება;
- და სხვა.

გამომდინარე აქედან, დოკუმენტი უნდა გათავისუფლდეს მსგავსი უზუსტობებისაგან და ნარჩენების მართვის 2016 - 2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული და დღემდე შეუსრულებელი ვალდებულებები გადანაწილდეს 2021 - 2023 წლებზე, თუმცა მაქსიმალურად შემჭიდროებული ვადებით.

მიგვაჩნია, რომ ნარჩენების სფეროდან ემისიების შემცირების ამოცანა უნდა იყოს მეტად ამბიციური, რადგან არსებობს სათანადო პოტენციალი და სრულიად რეალურია ამ პოტენციალის ეფექტურად გამოყენება.

სატყეო სექტორი

პარიზის შეთანხმებით აღებული ვალდებულებების ფონზე, არაამბიციურად მიგვაჩნია სატყეო სექტორისათვის დასახული მიზნები და ამოცანები;

საქართველოს ტყეების ნახშირბადის შთანთქმის პოტენციალის 10%-ით გაზრდა, 3 წლის განმავლობაში 625 ჰექტარის ტყის აღდგენა (წელიწადში საშუალოდ 208 ჰა) და 5 წლის განმავლობაში 2411 ჰექტარზე ბუნებრივი განახლების ხელშეწყობა (წელიწადში საშუალოდ 480 ჰა), ვერ იძლევა მინიმალურ გარანტიას კი, რომ XXI საუკუნის II ნახევარში საქართველოს ტყეები, როგორც სათბურის აირების მშთანთქმელი ძირითადი გარემო, შესძლებს სხვა სფეროებიდან ემიტირებული სათბურის აირების დაბალანსებას.

ვთვლით, რომ ტყის აღდგენისა და ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის დაგეგმილი მაჩვენებლების მიღწევა არ საჭიროებს მთავრობის დონეზე რეგულირებადი აქტივობების განხორციელებას, რადგან თვით ბუნებას შეუძლია გაცილებით უკეთესი შედეგების მოცემა, თუ შევაჩერებთ უკანონო ჭრებსა და ზღვარსგადასულ ექსპლოატაციას.

მიუღებელია ის ფაქტიც, რომ ამ სექტორში დაგეგმილი 9-ვე აქტივობა მოიაზრება პირობიან ვალდებულებად და მათი განხორციელება მოხდება სახელმწიფო დაფინანსების გარეშე.

მიგვაჩნია, რომ ტყეზე ზრუნვის ასეთი ტემპის შენარჩუნების შემთხვევაში საქართველოს ტყეების მდგრადობის მიღწევა შეუძლებელი იქნება ამ საუკუნის ბოლომდეც კი.

კლიმატის ცვლილების ქსელის წევრებისათვის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო განსახილველი დოკუმენტების განხილვისა და შედეგების შეფასების პროცესებში საზოგადოების ჩართულობის შესაძლებლობების გაზრდისა და სათანადო გარანტიების არსებობის თემამ.

მიგვაჩნია, რომ:

კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიაში (CSAP) და კლიმატის ცვლილების 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმაში (CAP) გათვალისწინებული უნდა იქნეს აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოების წარმომადგენლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერებას და მათ ჩართულობას, კლიმატის ცვლილების შერბილების საადაპტაციო გეგმების შემუშავებისა და განხორციელების საქმეში.

მნიშვნელოვნად უნდა ამაღლდეს კლიმატის ცვლილების თემასთან დაკავშირებული პროცესების გამჭვირვალობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;

უმოკლეს პერიოდში უნდა შეიქმნას და ამოქმედდეს პარიზის შეთანხმებით გათვალისწინებული „გაძლიერებული გამჭვირვალობის ჩარჩო“;

ნებისმიერი მსურველისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს დოკუმენტებით გათვალისწინებული ანგარიშები;

უმოკლეს პერიოდში უნდა შეიქმნას და ამოქმედდეს გაზომვების, ანგარიშებისა და გადამოწმების (ვერიფიკაციის) (MRV) ეროვნული სისტემა;

მოსახლეობის ფართო ფენების ინფორმირებულობის დონის ასამაღლებლად საკმარისი არ არის ინფორმაციის მხოლოდ ელექტრონული სახით მიწოდება კლიმატის ცვლილების საკითხებზე. აუცილებელია, შესაბამისი სამთავრობო გადაწყვეტილებები და სახელმწიფო სტრუქტურების ანგარიშები, სისტემატიურად შუქდებოდეს მასმედიის საშუალებებით;

რეგიონების, მუნიციპალიტეტებისა და ეკონომიკის დარგების მიხედვით კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის ამოცანების განხორციელების პროცესების ფართოდ გაშუქება მნიშვნელოვნად გაზრდის რეგიონებში არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების წარმომადგენლების ამ პროცესებში ჩართულობას;

სახელმწიფომ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საზოგადოების წარმომადგენლებს ხელი უნდა შეუწყოს, რათა მათ დაუბრკოლებლად განახორციელონ კლიმატის ცვლილების გამოწვევებთან დაკავშირებული პროცესების საზოგადოებრივი მონიტორინგი.

უნდა ამაღლდეს სახელმწიფო სტრუქტურებისა და ცალკეული მოხელის პასუხისმგებლობა საზოგადოების წარმომადგენლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის შეზღუდვის ან დაბრკოლების შემთხვევებისას.

უნდა ამაღლდეს სახელმწიფო სტრუქტურებისა და ცალკეული მოხელის პასუხისმგებლობა საზოგადოების წარმოადგენლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლიანი და კანონიერო მოთხოვნების იგნორირების ან უყურადღებოდ დატოვების შემთხვევაში;

უნდა ამაღლდეს სახელმწიფო სტრუქტურებისა და ცალკეული მოხელის პასუხისმგებლობა სტრატეგიული დოკუმენტებითა და სამოქმედო გეგმებით დასახული ამოცანების შეუსრულებლობის, ან ნაწილობრივ და უხარისხოდ შესრულების შემთხვევებში.

1. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/ დედამიწის მეგობრები- საქართველო
2. საზოგადოებრივი განვითარების ახალციხის ცენტრი
3. ააიპ მწვანე რეგიონები
4. ახალსოფლის ახალგაზრდული ცენტრი.
5. კოდის სათემო განათლების ცენტრი
6. ა/ო "ქალები ქვეყნის მომავლისათვის"
7. იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი - "სპექტრი"
8. ქალები საერთო მომავლისთვის - საქართველო / WECF Georgia;
9. „მოძრაობა საქართველოს მდგრადი განვითარებისათვის"
10. ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“
11. NGO "ქალი და განვითარება"
12. ქუთაისის საინფორმაციო ცენტრი
13. ლაგოდეხის განვითარების ჯგუფი (LAG)
14. სოფლად თემთა განვითარების სააგენტო
15. საქართველოს საერთაშორისო განვითარების სააგენტო
16. საქართველოს ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და განათლების ფონდი
17. ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ელკანა
18. ასოციაცია "დეა"
19. პროფესიონალ რკინიგზელთა კლუბი
20. სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
21. ასოციაცია “ქალები რეგიონების განვითარებისათვის”
22. ასოციაცია „სემა“
23. აიპ "ბოლნისის ენის სახლი"
24. საქართველოს ენერგეტიკული რესურსების ეფექტიანად გამოყენების ასოციაცია
25. ქვემო ქართლის ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია “ერთობა”
26. ააიპ „ბიოენერჯია“
27. ექსპერტთა კავშირი „მდგრადი ენერჯია და გარემო “
- 28.საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი
- 29.მწვანე ალტერნატივა